სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება №294

ქ. ბათუმი 20 მაისი 2015 წ.

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 18 მაისის N75 განკარგულების თანახმად ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი უფროსის მ/შ დავით მიქელაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ა(ა)იპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია", გენერალური მდივნის ქეთევან მუხაშარიას სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი" დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს ევროპის ქალთა ინდივიდუალური ჩემპიონატის საპრიზო ფონდში გადასახდელი თანხის გადარიცხვა ევროპის ჭადრაკის კავშირის შესაბამის საბანკო ანგარიშზე წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით. **(CPV 92622000):**

1.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ევროპის ჭადრაკის კავშირის შესაბამის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა განხორციელდება 30 000 ლარის ექვივალენტი ევროში სს ,,ლიბერთი ბანკში" გადარიცხვის დროისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

1.2. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს შესრულებული მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.3. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 30000 (ოცდაათი ათასი) ლარს.

2. მომსახურების მიღება-ჩაბარება

2.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სპორტის განყოფილების უფროსი.

2.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესახებ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

2.3. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.4. მიღება ჩაბარების აქტი გაფორმდება 1.1. პუნქტში აღნიშნული ღონისძიების ორგანიზების შემდეგ.

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მაღალორგანიზებულად უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება წინასწარ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.2 მიმწოდებელი თავისუფლდება წინასწარი ანგარიშწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარმოდგენისაგან, თანახმად „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი" შესახებ დებულების 26[4]- ე მუხლისა.

4.3 მიმწოდებლისათვის წინასწარ გადასახდელი თანხა ჩაირიცხება საამისოდ განკუთვნილ ცალკე საბანკო ანგარიშზე, კერძოდ: სს ,,ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი: GE61LB0113174290495000.

4.4 მომწოდებელი ვალდებულია არ განახორციელოს 4.3. პუნქტში მითითებული ანგარიშიდან, რაიმე სახის საბანკო ოპერაცია შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე.

4.5. მომწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მიღებული თანხა, გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებული მიზნებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულია დაუბრუნოს შემსყიდველს მიღებული თანხა მოთხოვნისთანავე.

4.6. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა, ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებათა გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად, არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

8. ხელშეკრულებების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად და ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელების ვადებში არ შეუძლია შეასრულოს მთელი სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია არ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაიმე ვალდებულება.
8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.
8.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
8.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და თანხის მიზნობრივად ხარჯვის კონტროლი.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ძალაში შედის ხელმოწერიდან. ხელშეკრულება მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის №4	ქ. ბათუმი, დუმბაძის ქ. №2
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ს /კ 245631400 სს „თიბისი ბანკი“ ა/ა GE62TB7901736010100015 მფო TBCBGE22	ა(ა)იპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია“ ს /კ 245424704 ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ა/ა GE61LB0113174290495000 მფო LBRTGE22
დავით მიქელაძე დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	ქეთევან მუხამარია გენერალური მდივანი